სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

13 თებერვალი, 2025 წელი

ბრძანება №01-02/23

ბსუ-ში 2024-2025 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ბიზნესის ადმინისტრირების, ფინანსების და საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე რიგგარეშე შიდა მობილობის ვადების განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ **საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების,** ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის'', კრედიტების აღიარებისა და საგანმანთლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში ბსუ-ს სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის №55 დადგენილების, **,,ბსუ-ში მობილობის (შიდა მობილობის) ადმინისტრირების წესის** დამტკიცების თაობაზე'' ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 1 აგვისტოს №01-02/143 ბრძანების, ,,ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „საჯარო მმართველობა“ დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 26 აპრილის №06-01/30 დადგენილების, ,,ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ბიზნესის ადმინისტრირება“ დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 26 აპრილის №06-01/31 დადგენილების, ,,ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ფინანსები“ დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 26 აპრილის №06-01/34 დადგენილების, ,,ბიზნესის ადმინისტრირების'' საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილების, ,,საჯარო მმართველობის'' საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილების, **,,ბსუ-ში 2024-2025 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ბიზნესის ადმინისტრირების, ფინანსების და საჯარო მმართველობის საბაკალავრო**

საგანმანათლებლო პროგრამებზე რიგგარეშე შიდა მობილობის გამოცხადების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 13 თებერვლის №06-01/15 დადგენილების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. 2024-2025 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის გამოცხადდეს რიგგარეშე შიდა მობილობა ბსუ-ში შემდეგ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე:

1.1. **ბსუ-ს ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე (სულ 860 ვაკანტური ადგილი) ჩარიცხვის უფლების მოპოვებისათვის** ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აქტიური სტუდენტის სტატუსის მქონე და სტატუსშეჩერებული სტუდენტებისათვის;

1.2. **ბსუ-ს ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე (სულ 70 ვაკანტური ადგილი) ჩარიცხვის უფლების მოპოვებისათვის** ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აქტიური სტუდენტის სტატუსის მქონე და სტატუსშეჩერებული სტუდენტებისათვის;

1.3. **ბსუ-ს საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე (სულ 170 ვაკანტური ადგილი) ჩარიცხვის უფლების მოპოვებისათვის** ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აქტიური სტუდენტის სტატუსის მქონე და სტატუსშეჩერებული სტუდენტებისათვის.

2. წინამდებარე ბრძანებით გამოცხადებული რიგგარეშე შიდა მობილობის ვადები განისაზღვროს შემდეგნაირად:

ა) ბსუ-ს **რიგგარეშე მობილობის მსურველთა ელექტრონული რეგისტრაცია** იწარმოება ბსუ-ს სტუდენტური **პორტალის (portal.bsu.edu.ge) მოდულის ,,შიდა მობილობის'' საშუალებით 2025 წლის 14 თებერვლიდან 20 თებერვლის ჩათვლით;**

ბ) ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელობით რიგგარეშე შიდა მობილობის **კრედიტების აღიარების** დასკვნების მომზადება და ელექტრონული ვერსიების (ხელმოწერილი და სკანირებული) **ატვირთვა** ბსუ-ს პორტალის ,,შიდა მობილობის'' მოდულის შესაბამის ველში - 2025 წლის 21 თებერვლიდან 24 თებერვლის ჩათვლით;

გ) რიგგარეშე **შიდა მობილობის მსურველის** მიერ კრედიტების აღიარების დასკვნის გაცნობის შემდეგ ბსუ-ს პორტალის **,,შიდა მობილობის" მოდულის საშუალებით თანხმობის ან უარყოფის ელექტრონულად დაფიქსირება - 2025 წლის 25-26 თებერვალი;**

დ) ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტის მიერ 2024-2025 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ბსუ-ს რიგგარეშე შიდა მობილობის შედეგების შესახებ სამსახურებრივი ბარათის წარმოდგენა შიდა მობილობით ჩარიცხვაზე უფლებამოპოვებული პირების შესახებ, რომლებთანაც უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებები **- 2025 წლის 27 თებერვალი.**

ე) ბსუ-ში შიდა მობილობის შედეგად შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებულ პირებთან **ხელშეკრულების გაფორმება 2025 წლის 27-28 თებერვალი.**

ვ) ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტის მიერ ბსუ-ს რიგგარეშე შიდა მობილობის შედეგების შესახებ სამსახურებრივი ბარათის და ბსუ-ს რექტორის შესაბამისი ბრძანების პროექტის წარმოდგენა და **ბრძანების გამოცემა - 2025 წლის 28 თებერვალი.**

3. ბსუ-ს ფაკულტეტებმა, სასწავლო პროცესის დეპარტამენტმა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა კოორდინირებულად უზრუნველყონ ბსუ-ში მობილობის პროცესის საქართველოს კანონმდებლობისა და ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 01 აგვისტოს №01-02/143 ბრძანებით დამტკიცებული ,,ბსუ-ში მობილობის (შიდა მობილობის) ადმინისტრირების წესის" შესაბამისად წარმართვა.

4. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

5. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეს (მ. ხალვაში), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს, ხელმძღვანელს, ბსუ-ს ფაკულტეტებს (დეკანს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, დარგობრივი დეპარტამენტების ხელმძღვანელებს, დეკანის ოფისს), სასწავლო პროცესის დეპარტამენტს (ასევე სამსახურებს), საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), სამეცნიერო კვლევების სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

ბსუ-ს რექტორი **ტიტე არუშიძე**